# ამერიკის მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაცია (EPAG)

## 2019 წლის მთავარი აქტივობები

EPAG– ის საქმიანობა მხარდაჭერილი და დაფინანსებულია

აშშ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ, აშშ-ის საელჩო ,თბილისი

**16-17 თებერვალი, 2019**

EPAG სტრატეგიული დაგეგმარების შეხვედრა ჩატარდა სასტუმრო  რუმსში, თბილისში. EPAG საბჭომ დაგეგმა აქტივობები 2019 წლისათვის.

**აპრილი, 2019 - დღემდე**

2019 წლის აპრილიდან EPAG– ის წევრები იკრიბებიან ერთსა და იმავე რესტორანში, ყოველი თვის პირველ ხუთშაბათს, საღამოს 7:00 საათზე, რომელსაც ყველას შეუძლია შემოუერთდეს და მოიწვიოს მეგობრები.

**06 აპრილი, 2019**

Hidden Treasures - ახალციხე

EPAG– მა ჩაატარა სემინარი სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ახალციხეში. სემინარის თემები იყო : განსხვავება დასაქმებასა და მეწარმეობას შორის, CV– ს შედგენადა საგზაო უსაფრთხოება. EPAG- მა სემინარის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია აშშ-ს მთავრობის გაცვლითი პროგრამების შესახებ.

**11 მაისი, 2019**

Hidden Treasures - ქუთაისი

EPAG– მა მოაწყო სემინარი სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ქუთაისში. სემინარის თემატიკა იყო სოციალური ქსელები და ახალი ტექნოლოგიების გამოწვევები. EPAG- მა სემინარის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია აშშ-ს მთავრობის გაცვლითი პროგრამების შესახებ.

**09 ივნისი, 2019**

Hidden Treasures - ბათუმი

EPAG– მა მოაწყო სემინარი ბათუმში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სემინარის თემატიკა იყო ემოციური ინტელექტი, მისი მნიშვნელობა და სოციალური ქსელების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები. EPAG- მა სემინარის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია აშშ-ს მთავრობის გაცვლითი პროგრამების შესახებ.

**10 ივნისი, 2019**

Hidden Treasures - ჩოხატაური

EPAG– მა ჩაატარა სემინარი ჩოხატაურში. სემინარის თემები იყო განსხვავებები დასაქმებასა და მეწარმეობას შორის და სოციალური ქსელების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები. EPAG- მა სემინარის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია აშშ-ს მთავრობის გაცვლითი პროგრამების შესახებ.

**29 ივნისი, 2019**

ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ტრენინგი

EPAG– მა სასტუმრო მარიოტში ჩაატარა ტრენინგი ინტელექტუალური საკუთრების სამართალში 35 სამართლის სტუდენტისა და იურისტისთვის. ტრენინგის მონაწილეებმა განიხილეს საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის თანამედროვე გამოწვევები.

**05 ოქტომბერი, 2019**

ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ტრენინგი (მეორე)

EPAG– მა შერატონ გრანდ თბილისის მეტეხი პალასში ჩაატარა ტრენინგი ინტელექტუალური საკუთრების სამართალში 35 სამართლის სტუდენტისა და იურისტისთვის. ტრენინგის თემატიკა იყო საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის პრობლემები და თანამედროვე გამოწვევები.

**07 ოქტომბერი, 2019**

EPAG– ის 5 წლის საიუბილეო ღონისძიება გაიმართა თბილისში, სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში. აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ელიზაბეტ რუდმა გახსნა ღონისძიება და EPAG- ის წევრებს სიტყვით მიმართა. ღონისძიებას ესწრებოდა EPAG– ის 300 – ზე მეტი წევრი.

**19 ოქტომბერი, 2019**

ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ტრენინგი (მესამე)

EPAG– მა შერატონ გრანდ თბილისის მეტეხი პალასში ჩაატარა ტრენინგი ინტელექტუალური საკუთრების სამართალში 35 სამართლის სტუდენტისა და იურისტისთვის. ტრენინგის თემატიკა იყო საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის პრობლემები და თანამედროვე გამოწვევები.

**ოქტომბერი, 2019**

Hidden Treasures – ზუგდიდი

EPAG– მა ჩაატარა სემინარი ზუგდიდში. სემინარის თემები მოიცავდა ახალგაზრდობის ჩართულობას ადგილობრივ თვითმმართველობაში და ადამიანის "ციფრულ ანაბეჭდს" ინტერნეტში. EPAG- მა სემინარის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია აშშ-ს მთავრობის გაცვლითი პროგრამების, მათ შორის FLEX პროგრამის შესახებ.

**07 დეკემბერი, 2019**

Hidden Treasures - პანკისი

EPAG– მა მოაწყო სემინარი სოფელ დუისში (პანკისი). სემინარის თემები იყო განსხვავებები დასაქმებასა და მეწარმეობას შორის და სოციალური ქსელების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები. EPAG- მა სემინარის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია აშშ-ს მთავრობის გაცვლითი პროგრამების, მათ შორის FLEX პროგრამის შესახებ.

**ქველმოქმედება**

EPAG– ის წევრების დიდი წვლილით, შეგროვდა და დაიხარჯა 1710 ლარი  თელავის მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის სხვადასხვა საყოფაცხოვრებო  ნივთების შესაძენად.

ოჯახში სტუმრობის შემდეგ, EPAG-ის საბჭომ გადაწყვიტა ინგლისური ენის მასწავლებლის დაქირავება ამ ოჯახში მცხოვრები 3 ბავშვისთვის, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი ისწავლონ ინგლისური. იმედი გვაქვს, რომ ბავშვები შეისწავლიან ინგლისურს და მომავალში მიმართავენ FLEX და სხვა პროგრამებს.

**EPAG-ის აღმასრუებელი საბჭოს წევრები (2019)**

ეთუნა ცოტნიაშვილი
დავით შერვაშიძე
ალექსანდე რევია
შალვა ჭონიშვილი
ლალი ყიფშიძე
ლაშა მესხი
ირაკლი მაჭარაშვილი
დოდო გოცირიძე
მარიამ კიკვაძე
მარიამ თურმანიძე
მურად ხარაიშვილი
ნინო საყვარელიძე
მარიამ ხატიაშვილი
არჩილ თოდუა
ლევან ნანობაშვილი

**EPAG-ის კოორდინატორი**

ანჟელა პახლაჯიანი

**EPAG-ის მრჩეველთა საბჭოს წევრები**

დავით შერვაშიძე
დავით დარსაველიძე
ნატალია მუმლაური
სოფი ფანჯიკიძე
თამარ კვარაცხელია